



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
დიდი პალატა

ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 48939/99)

სამართლებრივი შეჯამება

ანაოფიციალური თარგმანი

*მომზადებულია თბილისის სააკველაცთო სასამართლოს
თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.*

სტრასბურგი

30 ნოემბერი, 2004 წელი



Öneriyıldız v. Turkey

ბანაჰხალი N 48939/99, 30 ნოემბერი, 2004 წ.

მუხლი 2-1

სიცოცხლის უფლება

ნაგავსაყრელზე მომხდარი შემთხვევითი აფეთქების შედეგად, ნაგავსაყრელთან ახლოს არსებულ დასახლებაში დაღუპული ადამიანების სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენა.

მუხლი 2

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

საფრთხის შემცველი საქმიანობის განხორციელების შედეგად სიცოცხლის უფლების დარღვევა; ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები და სისხლისსამართლებრივი სანქციები: დადგინდა **დარღვევა**

მუხლი 13

ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები

ზიანის ეფექტიანი ანაზღაურება საფრთხის შემცველი ინდუსტრიული საქმიანობით გამოწვეული შედეგების კონტექსტში, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის გარდაცვალება და ქონების განადგურება: დადგინდა **დარღვევა**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი

საკუთრება

საკითხი, წარმოშობს თუ არა მშენებლობის ნებართვის გარეშე აშენებული სახლის არსებობის ფაქტი საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებას.

საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობა

საზოგადოებრივ ნაგავსაყრელზე მომხდარმა აფეთქებამ გამოიწვია საკუთრების განადგურება: დადგინდა **დარღვევა**

ფაქტობრივი გარემოებები

საქმისთვის მნიშვნელობის მქონე პერიოდში განმცხადებელი თორმეტ ახლო ნათესავთან ერთად ცხოვრობდა ქალაქის ღარიბ გარეუბანში სახელად უმრანიე (Ümraniye, სტამბული). აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა ბარაკის ტიპის დასახლებას, რომელიც ნაგავსაყრელთან სიახლოვის გამო ნებართვის გარეშე აშენდა. აღნიშნული ნაგავსაყრელი განკუთვნილი იყო ნარჩენების კონცენტრაციისთვის, სადაც გროვდებოდა სტამბულის ოთხი რაიონის ნარჩენები, რომლის მართვასაც ახორციელებდა სტამბულის საკრებულო. ექსპერტმა, უმრანიეს რაიონული საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე მომზადებულ დასკვნაში სახელმწიფო დაწესებულებების ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ნაგავსაყრელმა, რომელიც არ შეესაბამებოდა რელევანტურ ტექნიკურ მოთხოვნებს და „გარემოს შესახებ“ აქტს, წარმოშვა არაერთი საფრთხე ბარაკების მოსახლეებისთვის, კერძოდ: არ განხორციელდა ბიოლოგიური ხრწნის პროცესის შედეგად წარმოშობილი აირების აფეთქების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებები.

რელევანტურმა სამთავრობო დაწესებულებამ რეკომენდაცია გასცა, რომ უმრანიეს ადგილობრივი დაწესებულებების მხრიდან აღმოფხვრილიყო აღნიშნული შემთხვევა. შესაბამისად, დააკვალიფიცირა, როგორც პრობლემა. უმრანიეს ადგილობრივმა საბჭომ სასამართლოს მიმართა თხოვნით, აეკრძალა ნაგავსაყრელით მოსარგებლე სხვა რაიონებისთვის ნარჩენების ხსენებულ ტერიტორიაზე განთავსება. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, 1993 წლის 28 აპრილს ნაგავსაყრელზე მეთანის აფეთქება მოხდა, ნაგავსაყრელის ქვედა შრეებში არსებული ნარჩენების ამოფრქვევის შედეგად ცეცხლში გაეხვა რამდენიმე სახლი, რომლებიც ნაგავსაყრელის ქვედა ნაწილში მდებარეობდა. მათ შორის, ერთ-ერთი ეკუთვნოდა განმცხადებელს, რომელმაც აგრეთვე 9 ახლო ნათესავიც დაკარგა.

პოლიციამ და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს გამოძიება და დაინიშნა შესაბამისი ექსპერტიზები. ოფიციალური გამოძიება დასრულდა 3 თვეზე ნაკლებ დროში, შედეგად სისხლის სამართლის ღონისძიებები დაიწყო უმრანიეს და სტამბულის მერების წინააღმდეგ. ისინი დამნაშავედ იქნენ ცნობილნი „საკუთარი მოვალეობების დაუდევრად შესრულების“ საფუძველით და სასჯელის სახედ განესაზღვრათ ჯარიმა, შემდგომი ზიანის ანაზღაურების პირობით, რაც კანონმდებლობის შესაბამისად ყველაზე მსუბუქი ხასიათის სანქციას წარმოადგენდა.

განმცხადებელმა დაუყოვნებლივ წამოიწყო ადმინისტრაციული დავა საკუთრებისა და ნათესავების დაღუპვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ადმინისტრაციულმა სასამართლომ შემთხვევასა და პასუხისმგებელი პირების გულგრილობას შორის პირდაპირი კავშირი დაადგინა. 5 წლის შემდგომ დასრულებული სასამართლო პროცესის შედეგად განმცხადებელსა და მის კმაყოფაზე მყოფ არასრულწლოვნებს 100, 000, 000 თურქული ლირა (დაახლოებით 2,077 ევრო) მიეკუთვნათ არამატერიალური ზიანის სახით, ხოლო 10,000,000 თურქული ლირა განცდილი მატერიალური ზიანისთვის (დაახლოებით 208 ევრო), თუმცა აღნიშნული თანხა ფაქტობრივად არ ანაზღაურებულა.

სასამართლომ მხედველობის მიღმა დატოვა სახლის განადგურების ფაქტი იმ საფუძველით, რომ შემთხვევის გათვალისწინებით, განმცხადებელს შეეძლო მიეღო სუბსიდირებული საცხოვრებელი მოსახერხებელი პირობების შესაბამისად. სასამართლომ აგრეთვე არ

დააკმაყოფილა ელექტრონული მოწყობილობების განადგურებით განცდილი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან ჩათვალა, რომ აღნიშნული მოწყობილობები განმცხადებელს არ შეიძლება ჰქონოდა, რადგან მის საცხოვრებელ სახლს არ ჰქონდა წყალმომარაგება და ელექტროენერჯია.

სამართლებრივი შეფასება

მუხლი 2 (საფრთხისშემცველ საქმიანობასთან მიმართებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები)

როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ფუნქციონირება, აგრეთვე ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სივრცის რეაბილიტაცია რეგულირდებოდა თურქეთის უსაფრთხოების მომწესრიგებელი აქტებით. წინამდებარე საქმეში, აფეთქებამდე საკმაო ხნით ადრე, არსებობდა ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რომლის წინაშეც მოსახლეობა იდგა ფიზიკური ხელშეუხებლობის თვალსაზრისით, ნაგავსაყრელის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. სასამართლო წესით მოთხოვნილი საექსპერტო დასკვნის თანახმად დადგინდა, რომ ნაგავსაყრელი გაიხსნა და აგრძელებდა ფუნქციონირებას მოქმედი რეგულაციების დარღვევით, რაც ცხადყოფდა, რომ ნაგავსაყრელი წარმოშობდა საფრთხეებს, რომლის წინააღმდეგაც არსებული საშუალებებით შეუძლებელი იყო ბიოლოგიური გარდაქმნის პროცესში მყოფი ნარჩენების აფეთქების რისკის პრევენცია.

ფატალურ შემთხვევამდე საკმაო დროით ადრე, რეალური და შესამჩნევი რისკი არსებობდა თუმცა ნაგავსაყრელმა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა ფუნქციონირება, რაც აფეთქების შანსს მხოლოდ ზრდიდა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლების ორგანოები ინფორმირებულნი იყვნენ, იცოდნენ ან მოვალენი იყვნენ, რომ სცოდნოდათ იმ რისკის შესახებ, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ემუქრებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, მათ გააჩნდათ მოვალეობა, რომ მიეღოთ სათანადო პრევენციული ღონისძიებები, რათა დაეცვათ მოსახლეობა. მიუხედავად ამ ვალდებულებისა, პასუხისმგებელმა საბჭომ ვერ შეძლო, მიეღო აუცილებელი და დაუყოვნებელი ზომები, ამასთან არ განახორციელა ამ მიზნის შესაბამისი ფორმალური პროცედურები. გარდა ამისა, არც დაზარალებულებისა და მსხვერპლების გაუფრთხილებლობა ან წინდაუხედაობა იკვეთება, რამდენადაც ნაგავსაყრელთან ახლოს არსებული ტერიტორიის საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენებაზე საკანონმდებლო აკრძალვის მიუხედავად, სახელმწიფო მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდა ტოლერანტულ პოლიტიკას ბარაკული ტიპის დასახლებების მიმართ, რითაც განმცხადებელმაც ისარგებლა. ადმინისტრაციულ ორგანოები განმცხადებელს ექცეოდნენ, როგორც ბინის ლეგალურ მესაკუთრეს მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნდათ უფლებამოსილება, რომ უკანონო დასახლების დემონტაჟი განხორციელებულიყო. ამდენად, უკანონო ქმედებასთან მიმართებით სახელმწიფო ორგანოები მოქმედებდნენ პასიურად, რამაც წარმოშვა ბუნდოვანება მარეგულირებელი ნორმების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო, სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე, ინვესტიციის საჭიროება საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუმცა ნაგავსაყრელზე აირის გაჟონვის სისტემის დამონტაჟება ეფექტური ზომა იქნებოდა იმ ზიანის საფრთხის შემცირებისთვის, რომელიც ბიოლოგიურად დეგრადირებული

ნარჩენებიდან გამოყოფილი აირის აფეთქებით შეიძლება გამოწვეულიყო, რაც თავის მხრივ, გადაჭარბებულად მძიმე ტვირთს არ აკისრებდა სახელმწიფოს. აგრეთვე პრაქტიკული ზომების გაუტარებლობის პირობებში, როდესაც ზიანის თავიდან აცილება ბარაკის მაცხოვრებლებს არ შეეძლოთ, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ საზოგადოების ინფორმირების ვალდებულების შესრულება არასაკმარისი იქნებოდა.

საბოლოოდ, როგორც ადგილობრივმა საგამოძიებო ორგანოებმა მიიჩნიეს, სახელმწიფოს ვალდებულება სახეზე იყო. ადმინისტრაციული ორგანოების უუნარობამ, გაეკეთებინათ ყველაფერი, რათა დაეცვათ ბარაკებში მცხოვრები ადამიანები მყისიერი და იდენტიფიცირებული რისკისგან, წარმოშვა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის საფუძველი, ნორმის არსებით ნაწილში.

შედეგი: დადგინდა დარღვევა (ერთხმად)

სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენდა, რომ უზრუნველყო ადეკვატური სისხლისამართლებრივი ზომების გატარება სახიფათო საქმიანობით გამოწვეული გარდაცვალების გამოძიების მიმართ. სისხლისამართლებრივი პროცედურები, რომლებიც თურქეთში წარმოებული გამოძიების პირობებში განხორციელდა, თეორიულად აკმაყოფილებდა საფრთხის შემცველი საქმიანობის კონტექსტში სიცოცხლის უფლების დაცვის მოთხოვნებს. პრაქტიკულად, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა განახორციელეს სათანადო სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული მოკვლევები და დაუყოვნებლივ დაადგინეს როგორც შემთხვევის გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე - პასუხისმგებელი პირებიც. საკამათო საკითხს წარმოადგენდა, სასამართლო რამდენად ისახავდა მიზნად პასუხისმგებელი პირების დასჯას. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული სისხლისამართლებრივი პროცედურების ერთადერთი ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ რამდენად იკვეთებოდა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა და მოვალეობის შეუსრულებლობა, უპასუხოდ დარჩა ადამიანების დაღუპვისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. სასამართლო გადაწყვეტილება გარდაცვალების ფაქტებს აღწერდა, როგორც ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა არ იქნა განსაზღვრული რაიმე პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვის მოვალეობის განხორციელებლობის ნაწილში. არ არსებობდა რაიმე მაჩვენებელი, რომ სასამართლომ სათანადო ყურადღება მიაპყრო განსახილველი შემთხვევის შედეგებს. პირები პასუხისმგებლობაში მიეცნენ და სასჯელის სახედ დაენიშნათ მინიმალური ოდენობის ჯარიმა, რომლის აღსრულებაც შეჩერდა. შესაბამისად, სასამართლოს რეაგირება არასაკმარისი იყო სახელმწიფო მოხელეების სრული პასუხისმგებლობის დასადგენად, რაც მათ მიუძღოდათ ფატალური შედეგის დადგომაში. შესაბამისად, ვერ განხორციელდა ეროვნულ დონეზე სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვა, კერძოდ სისხლის სამართლის შემაკავებელი ეფექტის გამოყენება. სახიფათო საქმიანობის გამო დამდგარ ფატალურ შემთხვევასთან კავშირში „კანონის“ მიერ სიცოცხლის უფლების დაცვის და სამომავლოდ, სიცოცხლისთვის საშიში ქცევის შეჩერების ვერ უზრუნველყოფა წარმოადგენდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას.

შედეგი: დარღვევა (6 მომხრე 1-ის წინააღმდეგ)

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი :

გამოსადეგობა: განმცხადებლის საცხოვრებელი აშენებული იყო უკანონოდ, მიეკუთვნებოდა სახელმწიფო საკუთრებას და არ შეესაბამებოდა რელიგვანტურ ტექნიკურ სტანდარტებს. შეუძლებელი იყო იმისი განსაზღვრა, იყო თუ არა განმცხადებელი უფლებამოსილი, რომ ესარგებლა მოქმედი რეგულაციით, რომლითაც სიტუაცია უნდა მოწესრიგებულიყო და მოეპოვებინა უფლება უძრავ ქონებაზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მას არ მიუძღოდა რაიმე ზომისთვის ამ მხრივ. ამდენად, იმედი, რომელიც სასამართლოს წინაშე გამოხატა, რომ ერთ დღესაც სახელმწიფოსგან აღნიშნული მიწა გადაეცემოდა საკუთრებაში, არ არის „სათანადოდ წარმოდგენილი მოთხოვნა“, რომელიც სასამართლოს მიერ აღსრულებადი იქნებოდა და წარმოშობდა „საკუთრებას“. რაც შეეხება განმცხადებლის უკანონო საცხოვრის, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მისი ნაგებობა განზრახ არ დაანგრეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამისი უფლება გააჩნდათ. ამგვარმა ტოლერანტულობამ *de facto* აღიარების სახე მიიღო, რომლის თანახმადაც განმცხადებელს და მის ახლო ნათესავებს საკუთრების უფლება გააჩნდათ საცხოვრებელ სახლსა და მოძრავ ქონებაზე. ამასთანავე, ბუნდოვანებამ და ადმინისტრაციული ორგანოების დამოკიდებულებამ, რომლითაც კანონი არ სრულდებოდა, არ დააფიქრა განმცხადებელი იმაზე, რომ ერთ დღესაც მისი საცხოვრებელი სახლი, კანონის საფუძველზე, შესაძლოა, უკანონოდ ყოფილიყო ცნობილი და მასზე გავრცელდებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული ზემოქმედების ღონისძიებები. მოკლედ, განმცხადებლის საკუთრების ინტერესი მის საცხოვრებელ შენობასთან მიმართებით იყო საკმარისი სერიოზულობისა და სათანადოდ აღიარებული, რათა ის განხილულიყო, როგორც „საკუთრება“.

ბ) **საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება:** წინამდებარე საქმეზე იკვეთება მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფოს მხრიდან უხემ გაუფრთხილებლობასა და განმცხადებლის საცხოვრებელზე ზემოქმედებას შორის. ამ უკანასკნელმა მიაღწია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის დონეს, რომლითაც დაცული უნდა იქნეს განმცხადებლის ინტერესები საკუთრებასთან მიმართებით. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესაბამისად, ადგილობრივ ორგანოებს უნდა გადაეღათ ისეთივე პრაქტიკული ნაბიჯები, როგორც ნაჩვენები იქნა მე-2 მუხლის შეფასებისას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული განმცხადებლის სახლის განადგურება. მიუხედავად ამისა, ამგვარი ნაბიჯები არ იქნა გადადგმული. საშეღავათო უპირატესობანი, რომლებიც მიენიჭა განმცხადებელს საცხოვრებლის სუბსიდირების სახით, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული განმცხადებლისთვის მიყენებული მატერიალური ზიანისთვის სათანადო კომპენსაციად; ამასთან, სახელმწიფო ორგანოებს არ უღიარებია განმცხადებლის საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის უფლების დარღვევა. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს არ დაუკარგავს „მსხვერპლის“ სტატუსი. კომპენსაცია, რომელიც განმცხადებელს მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მიანიჭა სასამართლომ, ჯერ კიდევ არ არის გადახდილი, შესაბამისად, ამ გარემოებამ მიაღწია აღსრულების უფლებაში ჩარევის დონეს იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც დაკმაყოფილდა.

შედეგი: დადგინდა დარღვევა (თხუთმეტი მომხრე ორი წინააღმდეგი)

მუხლი 13

მე-2 მუხლის დარღვევის გამო სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანობა: წინამდებარე საქმეზე ფატალური შემთხვევის დადგომის საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება ევროპულმა სასამართლომ არაჯეროვნად მიიჩნია სიცოცხლის უფლების დაცვის (მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი) კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების შედეგად დადგინდა ფაქტები და მოხდა პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება. შესაბამისად, განმცხადებელი იმგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ უნდა მიეღო ზიანის ანაზღაურების ის ფორმა, რომელიც თურქული კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული. ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელსაც განმცხადებელმა მიმართა, თავისთავად საკმარისი იყო მისი მოთხოვნის არსებითი ნაწილთან მიმართებით, კერძოდ, ნათესავების დალუპვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში და წარმოადგენდა ჯეროვან მისაგებელს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის კონტექსტში. მიუხედავად ამისა, ზიანის ანაზღაურების ღონისძიება არაეფექტური იყო - კერძოდ, ახლობლების დალუპვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მიკუთვნებული კომპენსაცია არ იქნა გადახდილი და პროცესიც არ იქნა წარმართული სათანადო გულისხმიერებით. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-13 მუხლის ჭრილში შეფასებისას მხედველობაში მიიღება თურქული კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობა, რომ განმცხადებელი ჩართული ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმეში, როგორც მესამე პირი, ამ საფუძველით განმცხადებლის გაკრიტიკება შეუძლებელია, რადგან მან აირჩია უფლების დაცვისა და აღდგენის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გზა, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ეფექტურ და ხელმისაწვდომ საშუალებას საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის ანაზღაურების სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების ერთად გამოყენება არ იყო დაშვებული).

შედეგი: დადგინდა დარღვევა (თხუთმეტი მომხრე ორის წინააღმდეგ)

განმცხადებელს ადგილობრივ დონეზე უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით. განმცხადებლის მიმართ კომპენსაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახული ნაკლები გულისხმიერებიდან გამომდინარე, მას არ მიენიჭა ზიანის ანაზღაურება საკუთრების დაკარგვის გამო. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული მოითხოვს შეფასებას. გარდა ამისა, გატარებული ღონისძიებების საფუძველზე განმცხადებელს არ დაუკარგავს „მსხვერპლის“ სტატუსი პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლიდან გამომდინარე, შესაბამისად, სახელმწიფოს განმცხადებლისთვის არ უნდა წაერთმია ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებით სარგებლობის უფლება.

შედეგი: დადგინდა დარღვევა (თხუთმეტი მომხრე ორი მოწინააღმდეგე)

გადაწყვეტილებაში ცალკე მსჯელობის საგნად არ ქცეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევები.

41-ე მუხლი - საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის უფლების დარღვევა: საკუთრების განადგურებასთან დაკავშირებით საქმეში არ იკვეთება, რომ განმცხადებელმა ქონების დაკარგვით განიცადა შემცირებული ფასით საცხოვრებლის შეძენის დროს მისაღებ სარგებელზე დიდი ზიანი, ამგვარად უძრავ ქონებასთან დაკავშირებით დარღვევას წარმოადგენდა მხოლოდ ზემოთ დადგენილი გარემოებები. რაც შეეხება მოძრავი ქონების დანაკარგს, კომპენსაცია, რომელიც მიკუთვნებული იქნა ადგილობრივი სასამართლოს მიერ (208 ევრო) არ მოიცავდა ელექტრონულ მოწყობილობებს, და იგი აგრეთვე არ გადახდილა განმცხადებლის სასარგებლოდ. შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრისთვის ჩატარებული პროცესები არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული კონვენციის 41-ე მუხლთან მიმართებით. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელწიფოს აკისრებს 1,500 ევროს განმცხადებლის სასარგებლოდ გადახდის ვალდებულებას.

სიცოცხლის უფლების დარღვევა: კომპენსაცია, რომელიც დაკისრებულ იქნა ადგილობრივ დონეზე (2,077 ევრო) არ არის გადახდილი და საქმის ცალკეული დეტალებიდან გამომდინარე, განმცხადებლის გადაწყვეტილება, რომ არ გადაედგა ნაბიჯები აღსრულების პროცესის წარმართვისთვის, არ შეიძლება შეფასდეს იმგვარად, თითქოს მან უარი თქვა ამგვარ ანაზღაურებაზე. სასამართლოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების სახით დაკისრებულ იქნა კომპენსაცია 135,000 ევროს ოდენობით.